

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის  
16 იანვარი, 2017

საკონტაქტო პირი: დიანა ჩაჩუა  
პროგრამისა და კომუნიკაციების  
უფროსი ოფიცერი  
Tel: +995 577 779639  
E-mail: [dchachua@ndi.org](mailto:dchachua@ndi.org)

### NDI-ის კვლევა: მოქალაქეებისთვის ეკონომიკა კვლავაც მთავარი გამოწვევაა; ევროკავშირისა და ნატოს მხარდაჭერა სტაბილურია

*თბილისი.* ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და მისი პარტნიორი ორგანიზაცია CRRC-საქართველოს მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი აზრის უახლესი კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს ყველაზე მეტად კვლავაც ეკონომიკური პრობლემები აწუხებთ. მოქალაქეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს შორისაა დასაქმება (58 პროცენტი), მზარდი ფასები და ინფლაცია (38 პროცენტი) და სიღარიბე (30 პროცენტი).

წინა კვლევების მსგავსად, მოსახლეობის უმრავლესობა (66 პროცენტი) თავს კვლავაც უმუშევრად მიიჩნევს, მაშინ როცა მხოლოდ მესამედი ფიქრობს, რომ უახლოეს 12 თვეში მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება. ცოტა თუ ფიქრობს (17 პროცენტი), რომ 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ მათი ოჯახის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მოსახლეობის 82 პროცენტი ამბობს, რომ ყველაფრის გათვალისწინებით, 2012-ის შემდეგ მათი და მათი ოჯახების მდგომარეობა იგივე დარჩა ან გაუარესდა.

მოქალაქეების 32 პროცენტმა განაცხადა, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება, რაც გასული წლის მარტის შემდეგ 12 პროცენტთან ზრდაზე მიუთითებს, თუმცა უმრავლესობა (63 პროცენტი) ფიქრობს, რომ საქართველო არ იცვლება ან არასწორი მიმართულებით ვითარდება.

“ბოლო წლებში, უკვე მერამდენედ, მოსახლეობა აცხადებს, რომ ეკონომიკა მათთვის და ქვეყნისთვის მთავარ პრობლემად რჩება და ამ მიმართულებით შვებას ვერ გრძნობენ. ახლა როდესაც არჩევნები უკან მოვიტოვეთ, ახალ ხელისუფლებას პასუხისმგებლობა ენიჭება რეაგირება მოახდინოს მოსახლეობის ამ წუხილზე და საკუთარი ყურადღება და რესურსები უმუშევრობის შემცირებასა და ქვეყნის სუსტი ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერებაზე გადაიტანოს,” - განაცხადა ლორა თორნტონმა, NDI-ის დირექტორმა საქართველოში.

მოსახლეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის კომუნიკაცია კვლავაც მინიმალურია: ბოლო ერთი წლის მანძილზე მხოლოდ 14 პროცენტს ჰქონია შეხება საკრებულოსთან, 12 პროცენტს კი - მერის ოფისთან. კომუნიკაციის სიმცირის მიუხედავად, ის რესპონდენტები, რომლებსაც ჰქონიათ შეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ამბობენ, რომ გაწეული მომსახურება კომპეტენტური და თავაზიანი იყო და უმეტეს შემთხვევაში მიიღეს საჭირო დახმარება.

საგარეო პოლიტიკის მხრივ, მოქალაქეები სტაბილურად უჭერენ მხარს ქვეყნის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას. მოსახლეობის 72 პროცენტი მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების მიზანს,

რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი, 61 პროცენტი კი საქართველოს ნატოში გაწევრიანების მომხრეა. გამონაკლისია ეთნიკურ უმცირესობათა დასახლებები, სადაც ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები უჭერს მხარს. აღსანიშნავია ასაკის გავლენაც, რადგან ახალგაზრდებში ამ ორგანიზაციებში წევრობის მხარდაჭერა 15 პროცენტით მეტია ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფებში.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა კვლევის კიდევ ერთი საგანი იყო. მოქალაქეების უმეტესობა ფიქრობს, რომ ქალებს ისევე კარგად შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება როგორც კაცებს. თუმცა იმასაც აღიარებენ, რომ რესურსებისა და დროის ნაკლებობა, ასევე კულტურული თავისებურებები ხელს უშლის ქალებს, კაცების მსგავსად, აქტიურად იყვნენ ჩართულნი პოლიტიკაში. მოსახლეობის უმეტესობას (74 პროცენტი) სჯერა, რომ პარლამენტში ქალების წარმომადგენლობა მინიმუმ 30 პროცენტი მაინც უნდა იყოს და ახალ პარლამენტში ქალების რაოდენობას არასაკმარისს უწოდებს. ისინი ასევე მხარს უჭერენ პარლამენტში სავალდებულო გენდერული კვოტების შემოღებას. მოქალაქეების უმეტესობა (83 პროცენტი) ამბობს, რომ ქალების უფრო მეტი ჩართულობა ქვეყანაზე პოზიტიურ ან ნეიტრალურ გავლენას იქონიებს. მხოლოდ 8 პროცენტმა განაცხადა, რომ ამას ნეგატიური გავლენა ექნება.

“პოლიტიკური პარტიები უკვე წლებია ფეხს ითრევენ ქალების პოლიტიკური ჩართულობის საკითხზე. გასული არჩევნები და პარტიების კანდიდატთა სიები ამისი კარგი დასტურია. თუმცა ნათელია, რომ მოსახლეობაში ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვაზე მოთხოვნა არსებობს და ისინი მხარს უჭერენ ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას,” - განაცხადა ლორა თორნტონმა.

NDI იკვლევს საზოგადოებრივ აზრს, რათა დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს გაიგონ და გადაჭრან მოქალაქეებისთვის პრობლემატური საკითხები ზუსტ, მიუკერძოებელ და სტატისტიკურად სწორ მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე. პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია ეხმარება მათ საქმიანობას და გამოთქვამენ სურვილს, კვლავაც გაგრძელდეს მსგავსი გამოკითხვები.

აღნიშნული გამოკითხვა 2016 წლის 4 ნოემბერი-4 დეკემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,141 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 1,8%.

NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს CRRC-საქართველო.

#### **-დასასრული-**

*NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია: [www.ndi.org](http://www.ndi.org)*

*CRRC-საქართველო არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, აანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე:*

[www.crrc.ge](http://www.crrc.ge)